

სემინარი ვერმონტის სატარიფო საქმეების საკითხებზე ნაწილი 1-  
ლი

შემოსავლებზე მოთხოვნის შემუშავება



*NARUC-ის ენერჯეტიკის მარეგულირებელი პარტნიორული პროგრამა*

*საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ  
კომისია*

*და*

*ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო*

*ავტორი*

*ქურთ იანსონი*

*ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო*

*2008 წლის 15 დეკემბერი*



# მიმოხილვა

- ✓ შემოსავლებზე მოთხოვნის შემუშავების საფუძვლების მიმოხილვა
- ✓ მაგალითი – ცენტრალური ვერმონთის კომუნალური მომსახურების კორპორაცია; 2005 წლის სატარიფო საქმე (საქმის №6988)



*I. მიმოხილვა: შემოსავლებზე  
მოთხოვნის შემუშავების  
საფუძვლების მიმოხილვა*



# საკანონმდებლო სტანდარტები

- ✓ სამართლიანი და გონივრული განაკვეთები
- ✓ ბალანსი აქციონერების და გადამხდელების ინტერესებს შორის
- ✓ მნიშვნელოვანი საბოლოო შედეგია, და არა გამოყენებული მეთოდოლოგია



# განმარტებები

- v მომსახურების ღირებულება
  - = შემოსავლებზე მოთხოვნა
  - = წლიური საექსპლუატაციო ხარჯები + წლიური კაპიტალური დანახარჯები
- v საცდელი წელიწადი
  - = პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება ხარჯების და შემოსავლების ერთმანეთთან შედარება
- v შესწორებული საცდელი წელიწადი
  - = საცდელი წელიწადი, რომელიც შესწორებულია ცნობილ და გაზომვად ცვლილებებზე და ნორმალიზაციაზე
  - = სატარიფო წელიწადი



# მომსახურების ღირებულების ანალიზი

- v რეალობაში, საბჭომ სამი რამ უნდა განსაზღვროს:
  - საექსპლუატაციო ხარჯები
  - ტარიფის ბაზა
  - კაპიტალის ღირებულება



# მომსახურების ღირებულების ფორმულა

v  $RR = E + d + T + (V-D)r$

$E$  = საექსპლუატაციო და ტექნომსახურების ხარჯები

$d$  = წლიური ამორტიზაციის ხარჯები

$T$  = გადასახადები

$V$  = საწარმოს საწყისი საბუღალტრო ღირებულება

$D$  = დაგროვილი ამორტიზაცია

$(V-D)$  = “ტარიფის წმინდა ბაზა”

$r$  = კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება



# ტარიფის ბაზა

v ტარიფის ბაზა =

- ამჟამად ექსპლუატაციაში მყოფი საწარმოს საწყის ღირებულებას
- გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია (ამჟამად ექსპლუატაციაში მყოფი საწარმოსათვის წინა წლების ამორტიზაციის ხარჯების ჯამი)
- დამატებული ან გამოკლებული სხვა შესწორებები
  - u მომხმარებელთა დეპოზიტები
  - u შეღავათები მუშა კაპიტალზე



# უკუგების განაკვეთი

- ✓ პრინციპი – ნებადართული უკუგების დონე უნდა იყოს ისეთი, რომ საწარმოს სხვა მსგავსი რისკის მოქნე საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის კონკურენციის გაწევის საშუალება გააჩნდეს
- ✓ წყარო – საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ხარჯების შეწონილი განაკვეთები
- ✓ კაპიტალის სტრუქტურა – კაპიტალის შეწონილი ხარჯები განისაზღვრება კომპონენტის წილის ხარჯების განაკვეთზე გამრავლებით და ხარჯების შეწონილი განაკვეთების შეკრებით



*II. მაგალითი – ცენტრალური  
ვერმონტის კომუნალური  
მომსახურების კორპორაცია;  
2005 წლის სატარიფო საქმე  
(საქმის №6988)*



# ზოგადი ინფორმაცია (1)

- v საწარმოს მიერ სატარიფო საქმეზე სარჩელის შემოტანა უკანასკნელად ათი წლის წინ მოხდა
- v წინა სატარიფო საქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, საწარმო შემოსავლების განაწილების შეთანხმების საფუძველზე მოქმედებდა
- v 2004 წლის 7 აპრილს საბჭომ წამოიწყო საწარმოს არსებული ტარიფების გამოძიება
- v გამოძიების მსვლელობის პროცესში, 2004 წლის 15 ივლისს, საწარმომ შემოიტანა სარჩელი ტარიფის 5.01 %-ით გაზრდაზე (საქმის № 6988)



## ზოგადი ინფორმაცია (2)

- ✓ საბჭომ შეაჩერა ტარიფის გაზრდა და გააერთიანა ეს საქმე მიმდინარე გამოძიებასთან
- ✓ საბჭომ ჩაატარა წინასწარი კონფერენცია, შეიმუშავა გრაფიკი, და განსაზღვრა ქმედებები
  - გრაფიკი განსაზღვრავდა ყველა მხარის მიერ თავისი აღმოჩენების გამოქვეყნების და წინასწარ დაფიქსირებული ჩვენებების მიცემის; საჯარო მოსმენების და სამხილების წარდგენის; დასკვნების გამოქვეყნების დროს
  - გრაფიკი შეზღუდულია საკანონმდებლო ვადებით
  - საბჭომ თავისი დასკვნა 2005 წლის 29 მარტს გამოაქვეყნა



# მხარეების პოზიციები

- v საწარმო: მოითხოვდა ტარიფის 5.01 %-ით გაზრდას, თუმცა შემდეგ მოთხოვნა 2.9 %-მდე შეამცირა
- v კომუნალური მომსახურების დეპარტამენტი: მოითხოვდა ტარიფის 7.16 %-ით შემცირებას
- v **AARP** (განხილვაში მონაწილე მხარე): არ მოითხოვდა რაიმე კონკრეტულ ტარიფს



# ძირითადი საკითხები

- ✓ ჭარბი შემოსავლები წარსულში
- ✓ გადავადებული ხარჯები და შემოსავლები
- ✓ ტარიფის ბაზა
  - საწარმოზე დანამატები
  - შუალედური პერიოდის და სატარიფო წლის ამორტიზაცია
- ✓ ხარჯები
  - ელექტროენერჯის ღირებულება
  - დაქვემდებარებული საწარმოს გაყიდვა
- ✓ კაპიტალის ღირებულება
- ✓ რეგულირებულ ფილიალებთან დამოკიდებულება



# ჭარბი შემოსავლები (1)

- ✓ დღის წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი
- ✓ 2001 წელს საწარმომ და კომუნალური მომსახურების დეპარტამენტმა მიაღწიეს შეთანხმებას საწარმოს მიერ წამოყენებული ორი სატარიფო მოთხოვნის გარშემო
  - შეთანხმების თანახმად, მომავალში საწარმოს მიერ კაპიტალზე უკუგების 11%-ზე მეტად მიღებული შემოსავლები მომხმარებლებს უნდა დაბრუნებოდეთ
  - შეთანხმება არ განსაზღვრავდა ჭარბი შემოსავლების გათვლის მეთოდოლოგიას



## ჭარბი შემოსავლები (2)

- ✓ საწარმოს გათვლებით მისი ჭარბი შემოსავლები 2001-2003 წლებში შეადგედნენ 3 156 050 აშშ დოლარს
- ✓ საწარმო გათვლებს “ფასიანი ქაღალდების და ბირჟების ფედერალური კომისიის” მონაცემების საფუძველზე ახდენდა, და ისეთ აქტივებზე უკუგებასაც ითვალისწინებდა, რომელთა გამოყენებაც ტრადიციული მომსახურების ხარჯების საფუძველზე ტარიფების შემუშავებისას ნებადართული არ არის



## ჭარბი შემოსავლები (3)

- ✓ კომუნალური მომსახურების დეპარტამენტის გათვლებით ჭარბი შემოსავლები 17 385 000 აშშ დოლარს შეადგენდნენ
- ✓ კომუნალური მომსახურების დეპარტამენტის გათვლები ძირითადად მომსახურების ღირებულების სტანდარტულ მეთოდოლოგიას ეფუძნებოდნენ



## ჭარბი შემოსავლები (4)

- ✓ საბჭომ დაასკვნა, რომ შეთანხმება გულისხმობდა ჭარბი შემოსავლების ტარიფების შემუშავების ტრადიციული პრაქტიკის საფუძველზე გაანგარიშებას
- ✓ ამას გარდა, საბჭომ დაასკვნა, რომ კომუნალური მომსახურების დეპარტამენტის წინადადება (ზოგიერთი შესწორებების გათვალისწინებით) შეესაბამებოდა ტარიფების შემუშავების ტრადიციულ პრაქტიკებს



# გადავადებული ხარჯები და შემოსავლები

- v საწარმომ მოახდინა ზოგიერთი ხარჯების და შემოსავლების აღიარების გადავადება, და მის საბუღალტრო წიგნებში გადავადებული ხარჯების რაოდენობა 23 მილიონ აშშ დოლარს აღწევდა
- v საბჭომ ადრეც გამოთქვა შეშფოთება ამ გადავადებების ძალიან დიდი ოდენობების გამო
- v საბჭომ მოითხოვა, რომ განხორციელებულიყო ყველაზე მეტად გადავადებული ანგარიშების ამორტიზაცია სამი წლის განმავლობაში, სრული ამორტიზაციის შემდეგ კი უნდა მომხდარიყო უკუ ამორტიზაცია



## საწარმოზე დანამატები

- ✓ საწარმოს სატესტო წელიწადის ინვესტიცია 483 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა; საწარმოს სატარიფო წლისათვის 20.9 მილიონი დოლარის დამატებას ითხოვდა
- ✓ საბჭომ დაასკვნა, რომ საწარმოზე დამატებების უმეტესობა არ იყო ცნობილი და გაზომვადი, და შესაბამისად შეამცირა ასეთი დანამატები 2.5 მილიონი აშშ დოლარით, თუმცა დაუმატა 1.4 მილიონი იმ დაშვებული პუნქტებისთვის, რომლებიც საწარმოს გამორჩენილი ჰქონდა



## შუალედური პერიოდის და სატარიფო წლის ამორტიზაცია

- v საბჭომ დაასკვნა, რომ როგორც  
შუალედური პერიოდის, ასევე სატარიფო  
წლის ამორტიზაცია ცნობილი და  
გაზომვადია, ასე რომ დაგროვილი  
ამორტიზაცია უნდა შესწორდეს მათი  
გათვალისწინებით
- v სატარიფო წელიწადზე შესწორების შეტანა  
სიახლე იყო საბჭოს გადაწყვეტილებების  
ისტორიაში, და უჩვენებს როგორ ვითარდება  
კანონმდებლობა საქმიდან საქმემდე



# ელექტროენერჯის ღირებულება

- v ეს საწარმოს შემოსავლებზე მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია
- v დაიანგარიშება სატარიფო წლის განმავლობაში ელექტროენერჯის ღირებულების პროგნოზირების საფუძველზე
- v საწარმომ და კომუნალური მომსახურების დეპარტამენტმა მიაღწიეს შეთანხმებას ელექტროენერჯის ღირებულებასთან დაკავშირებული საკითხების უმრავლესობაზე, და საბჭომ დაამტკიცა ეს შეთანხმება



# დაქვემდებარებული საწარმოს გაყიდვა (1)

- ✓ საწარმომ გაყიდა მისი დაქვემდებარებული საწარმო ნიუ ჰემფშირში (მეზობელი შტატი) ამ შტატში მიმდინარე რესტრუქტურისაციის გამო
- ✓ გაყიდვა აგრეთვე მოიცავდა საწარმოსთვის “აუნაზღაურებელი ხარჯების” (საბაზრო ღირებულებაზე მაღალი ფასებით ელექტროენერჯის მიწოდების ვალდებულებები) კომპენსაციის სახით 21 მილიონი აშშ დოლარის გადახდას; ეს თანხა წარმოიშვა იმის გამო, რომ დაქვემდებარებული საწარმოსთან ელექტროენერჯის შესყიდვაზე კონტრაქტი შეწყდა.
  - რეალური “აუნაზღაურებელი ხარჯები” მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდნენ, რის გამოც საწარმომ საბოლოოდ 6.6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო



## დაქვემდებარებული საწარმოს გაყიდვა (2)

- v გაყიდვის შედეგად შეწყდა მომსახურების კონტრაქტი, რის შედეგადაც საწარმომ განიცადა 2.0 აშშ დოლარის ზარალი სატარიფო ქწელიწადში და, შესაბამისად, მან ამ თანხის თავის ვერმონტში შემოსავლებზე მოთხოვნისათვის დამატება მოითხოვა
  - საბჭომ დართო მას 1.46 მილიონი აშშ დოლარის ასახვის უფლება, რადგან ეს თანხა წარმოადგენდა ზედნაღებ ხარჯებს, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაგრამ უარი განუცხადა დანარჩენ ხარჯებზე, რომლებიც უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოსთან იყვნენ დაკავშირებული



## დაქვედებარებული საწარმოს გაყიდვა (3)

- v გაყიდვის შედეგად შემცირდა საწარმოს საბითუმო ხარჯები, ხოლო საცალო ხარჯები სატარიფო წლის განმავლობაში გაიზარდა 1.85 მილიონი აშშ დოლარით
  - საბჭომ მოითხოვა ამ ხარჯების ჩამოწერა 6.6 მილიონიანი შემოსავლის (“აუნაზღაურებელი შემოსავლის“ კომპენსაცია) სამი წლის განმავლობაში ამორტიზაციის გზით



# კაპიტალის ღირებულება

- ✓ აუცილებელია კაპიტალის სტრუქტურის და თითოეული კომპონენტის ღირებულების განსაზღვრა
- ✓ ერთადერთ საკამათო საკითხს საკუთარ კაპიტალზე უკუგება წარმოადგენდა
  - საწარმო მოითხოვდა 11 %-ს
  - კომუნალური მომსახურების დეპარტამენტი მოითხოვდა 8.75 %-ს
  - **AARP-m** შემოგვთავაზა 10 %
- ✓ საბჭომ საკუთარ კაპიტალზე უკუგების განაკვეთი 10 %-ის ოდენობით დაამტკიცა



# რეგულირებულ ფილიალებთან დამოკიდებულება

- v ტრადიციულად, ინვესტიციები რეგულირებულ ფილიალებში განიხლებოდა, როგორც “ზედმეტი დანახარჯები” (ისინი გადამხდელების ხარჯზე გადადიოდა, ანუ ისინი შედიოდა შემოსავლებზე მოთხოვნაში)
- v საწარმომ შემოგვთავაზა, რომ ისინი განიხილებოდეს, როგორც “ნაკლები დანახარჯები” (ანუ მათი გადატანა ინვესტორების ხარჯზე და, შესაბამისად, შემოსავლებზე მოთხოვნიდან ამოღება), რაც შემოსავლებზე მოთხოვნას 2.0 აშშ დოლარით გაზრდიდა
- v საბჭომ მხარი ტრადიციული პრაქტიკის გამოყენებას დაუჭირა



# საბოლოო შედეგი

- v საბჭომ ტარიფები 1.88%-ით (თითქმის ხუთი მილიონი აშშ დოლარით) შეამცირა
- v მოსთხოვა საწარმოს, რომ შემოთავაზებული ახალი სატარიფო დიზაინის დასასაბუთებლად შესაბამისი კვლევა ჩაეტარებინა
- v როგორც საწარმომ, ასევე კომუნალური მომსახურების დეპარტამენტმა საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლა მოსთხოვეს; საბჭომ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა
- v საწარმომ აპელაცია შეიტანა ვერმონტის უზენაეს სასამართლოში, მაგრამ ამ უკანასკნელმა დაამტკიცა საბჭოს გადაწყვეტილება